პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 283 (13975) | სამშაბათი, 5 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

5 დეკემბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა!

ხალხის ხელისუფლება

წელს კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ღირსსახსოვარ ვითარებაში, როცა ჩვენმა დიდმა ქვეყანამ იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი.

ორმოცდაათი წლის წინათ საბჭოთა რუსეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაადგა სოციალიზმის გზას. ახლა ამ გზას ადგას ბევრი სახელმწიფო და ხალხი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ისტორიული განვითარების მძლავრი ფაქტორი გახდა. საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელ რევოლუციურ ძალებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს არის მათი უდიდესი მონაპოვარი. უკვე ბრმებისთვისაც კი ნათელია, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ დიდად შეაშფოთა და შეასუსტა იმპერიალიზმის ძალები, ფართო მასებს ჩაენერგა მტკიცე რწმენა, რომ ურყევია მარქსიზმ-ლენინიზმის სიმართლე, რომ უძლეველია მისი დიადი იდეალები.

ოცდათერთმეტი წლის წინათ იქნა მიღებული ამჟამად მოქმედი საბჭოთა კონსტიტუცია. რამდენი რამ შეიცვალა განვლილი წლების მანძილზე ჩვენს დიად ქვეყანაში. საბჭოთა სახელმწიფო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-მექანიზებულ სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ახლა ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებულ პროდუქციას კარგად იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა კოსმოსის ათვისების საქმეში მთელი მსოფლიო გააკვირვა.

საბჭოთა კონსტიტუციით მშრომელი ადამიანისათვის გარანტირებულია თავისუფალი ცხოვრება. მას გზა ხსნილი აქვს შრომისათვის, სწავლისათვის, დასვენებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განსაზღვრეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რის შედეგადაც მკვეთრად ამაღლდა ხალხის კეთილდღეობა: შემცირდა საშუალო დღე, გაიზარდა შვებულება ორსული და მშობიარე ქალებისათვის, გადიდდათ ხელფასი მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეებს. ჩვენს ქვეყანაში ყველა მოსუცებული და შრომისუნაროდაკარგული უზრუნველყოფილია პენსიით, მშრომელები სარგებლობენ უფასო სწავლით, სამედიცინო მომსახურებით.

ცხოვრების ასეთ წინსვლას, ბუნებრივია, არ შეეძლო არ განვითარებინა ჩვენი დემოკრატია, არ შეეცვალა სახელმწიფო მმართველობაში ხალხთა მასების მონაწილეობის ფორმები და მეთოდები. და მართლაც, უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მშრომელ მასებთან მისი უფრო დაახლოებისათვის, გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, განხორციელებულია დიდ და მცირე ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა, შექმნილია ყველა პირობა საბჭოთა კავშირში მოძმე ხალხების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, მათი სულიერი ძალების აყვავებისათვის. კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, ზრდის ერებს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ჩვენი საბჭოები გამოხატავენ ხალხის სრულ ძალაუფლებას. საბჭოები ძლიერი არიან თავიანთი მასობრიობით. მათთან ერთად მონაწილეობს სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მრავალმილიონიანი აქტივი.

პარტია ზრუნავს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის. ამ ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის დადგენილება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საბჭოთა დიდ ოჯახში მკვეთრად გაიზარდა და გაფართოდა საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ მოწინავე ინდუსტრიულ-საკლმეურნეო რესპუბლიკად, ახლა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებულ პროდუქციას კარგად იცნობენ არა მარტო მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, არამედ მის საიმედოობასა და მაღალ ხარისხზე ლაპარაკობს საზღვარგარეთის ბევრი სახელმწიფო, აყვავდა ეროვნული კულტურა და მეცნიერება.

„საშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობაა". კონსტიტუციის ეს პატრიოტული მოთხოვნა ჩვენმა ხალხმა პირნათლად შეასრულა დიდ სამამულო ომში. დღეს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ კარგად იცის, თუ საბჭოთა ხალხმა რა არნახული გმირობა გამოიჩინა ფაშისტური გერმანიის თავით ფეხთამდე შეიარაღებული არმიების წინააღმდეგ ბრძოლაში, წმიდად დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მიაღწია ფაშისტურ გერმანიაზე სრულ გამარჯვებას.

საბჭოთა სახელმწიფო იბრძოდა და იბრძვის სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, მტკიცედ ახორციელებს სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მთელ მსოფლიოში.

დღეს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე მტკიცედ დგას ჩვენი არმია, რომელიც შეიარაღებულია უახლესი სამხედრო ტექნიკით და ფხიზლად ადევნებს თვალს იმპერიალისტთა ბოროტ ზრახვებს, რომლებიც მიმართულია ახალი ომის გაჩაღებისაკენ.

ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ტემპს კიდევ უფრო აძლიერებენ, მტკიცედ იბრძვიან საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი ძლიერებისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვისათვის, რომელიც ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას ხმარდება.

სრულყოთ პროფკავშირთა ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა საქართველოს პროფესიული კავშირების XIV ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პროფკავშირთა ამ ყრილობის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ამხანაგმა შ. დ. კიკნაძემ თავის მოხსენებაში ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზა რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა საანგარიშო პერიოდში; მოხსენება თვითკრიტიკული იყო, იქ წამოყენებულია შემდგომი მუშაობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კამათის მონაწილეთა სიტყვებსაც საქმიანი, თვითკრიტიკული ხასიათი ჰქონდა, ამხანაგებმა ბევრი რამ დაუმატეს მოხსენებას და წამოაყენეს ბევრი პრაქტიკული საკითხიც, რომლებსაც პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მე ყურადღებით ვუსმენდი გამოსვლებს და უნდა ითქვას, რომ მათ საერთოდ ძალიან მკაფიო, შთამბეჭდავი სურათი შექმნეს ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალფეროვანი და ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ, რომლებიც ამ ბოლო დროს უფრო აქტიურად მუშაობენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ საკითხზე, წარმატებით რაზმავენ მშრომელებს მოწინავე საწარმოო გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

თუ რა დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი პროფკავშირები სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, თუ რა დიდი გაქანება მიეცა მას რესპუბლიკაში, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობს 900 ათასზე მეტი კაცი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა ჩვენი მუშისა და მოსამსახურის 83 პროცენტი, რომ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმულია 280 ათასი მუშაკი, რომ კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების მაღალი წოდებანი მიენიჭა 100 ათასზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს, 9 ათას ბრიგადას, საამქროსა და უბანს და 71 საწარმოს.

დღეს, ჩვენს ყრილობაზე, მინდა მოგაგონოთ ის ღირსშესანიშნავი დღე, როცა თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, რათა მეორე ლენინის ორდენი გადაეცა საქართველოსათვის. იმ დღეს რესპუბლიკის მშრომელებმა სამშობლოს ამ მაღალი ჯილდოს მიღებისას აღუთქვეს პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ლენინის ორდენის მიღებისას სამი რევოლუციის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილმა საქართველოს სახელოვანმა მუშათა კლასმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს მშრომელთა ისტორიულ ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ფიცი დადო, რომ ყოველთვის იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლის მეწინავე პოზიციებზე, წინა ხაზზე.

ახლა, როცა შეჯამებულია საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, როცა მოსკოვის საზეიმო სხდომას საქართველომ უპატაკა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი, მინდა სიხარულით აღვნიშნო: საქართველოს შესანიშნავმა მუშათა კლასმა, როგორც ყოველთვის, პირნათლად შეასრულა სიტყვა და ღირსეულად აღინიშნა დიდი ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში ჩვენი მუშების შრომით შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობის სრულიად ახალი დარგები.

ნება მიბოძეთ ამ მამაცური თავდადებული შრომისათვის ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს გადავუხადო დიდი და მეტად გულითადი მადლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით და ვუსურვო ჩვენს მუშებს ახალი წარმატებანი, ახალი გამარჯვებანი კომუნისტურ მშენებლობაში!

დიდი ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილ პარტიის დოკუმენტებში განსაკუთრებით ხაზგასმულია საბჭოთა მუშათა კლასის, როგორც ახალი საზოგადოების შემქმნელის, როლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" ნათქვამია, რომ მუშათა კლასის ისტორიული მისია გამოიხატა ოქტომბრის რევოლუციის განსორციელებით და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებით, რომ მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმის გზაზე, რომ საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა საგსებით დაადასტურეს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება მუშათა კლასის ისტორიული როლის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გამოავლინა მსოფლიო-ისტორიული როლი მუშათა კლასისა, როგორც სოციალიზმის მედროშისა და მისთვის მთავარი მებრძოლისა, როგორც თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე და ყველაზე მებრძოლი კლასობრივი ძალისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი", ხაზგასმულია, რომ, ყველაზე მოწინავე და ორგანიზებული ძალა — საბჭოთა მუშათა კლასი, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიასთან, სოციალისტური საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს მატერიალურ საფუძველთან, თავის ხელმძღვანელ როლს ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის პერიოდშიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი" სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

— სოციალისტურ საზოგადოებაში წამყვანი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს. საბჭოთა მუშამ მემკვიდრეობად მიიღო რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო თვისებები. ეს არის ხალხის საქმისათვის შეგნებული მებრძოლი, პარტიის იდეალების უსაზღვროდ ერთგული, შრომისა და ყოფა-ცხოვრების იმ ტრადიციათა შემოქმედი, რომლებიც კომუნიზმთან გვაახლოებენ. მუშები, რომლებიც დღეს კომუნიზმს აშენებენ, ღირსეული მემკვიდრენი არიან კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე მებრძოლი ნასახლის მოიერიშე პროლეტარებისა, პირველი ხუთწლედების გმირებისა, რომელთაგანაც მიიღო დღევანდელმა მუშათა კლასმა რევოლუციის ესტაფეტა.

ინდუსტრიული განვითარების შედეგად მუშათა რიცხვი საბჭოთა კავშირში წლითიწლობით იზრდება, ახლა ისინი შეადგენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ნახევარზე მეტს. დაახლოებით ასეთივეა თანაფარდობა საქართველოს მუშებისა რესპუბლიკის მშრომელთა საერთო რიცხვისადმი, როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ჩვენი რესპუბლიკის მაგალითითაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მუშათა კლასი ახალი საზოგადოების წამყვანი შემოქმედებითი ძალაა და რომ მას ეკუთვნის გადამწყვეტი როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

რამდენადაც სიტყვა ჩამოვარდა მუშათა კლასზე, იმაზე, თუ რა როლს ასრულებს იგი ჩვენს საზოგადოებაში, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ს. დოლიძის ახალ ფილმზე „ქალაქი ადრე იღვიძებს", რომელიც ეძღვნება მუშათა კლასის გმირობასა და სახელოვან საქმეებს. ამ ფილმში კარგად და მხატვრული დამაჯერებლობით არის მოცემული თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშათა კოლექტივის შრომითი საქმიანობა, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას, რომ ყოფილი საელმავლო დეპო გადაეკეთებინათ მსხვილ საწარმოდ. ახლა იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და უშვებს პირველ ხარისხოვან ელმავლებს. მალე ეს არსებითად პირველი ჩვენი ფილმი მუშათა კლასზე გამოვა ეკრანებზე და დარწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი სიმართლით ასახავს იგი მუშათა კლასის ცხოვრებას.

მუშათა კლასის თემა, მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დებულება მისი დიადი ისტორიული მისიის შესახებ, რაც დაადასტურა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის ცხოვრებამ, კიდევ მოელიან ღირსეულ ასახვას არა მარტო კინემატოგრაფიაში, არამედ ლიტერატურაში, თეატრალურ ხელოვნებაში, ფერწერასა და მუსიკაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მწერლები და დრამატურგები, მხატვრები და კომპოზიტორები კიდევ იტყვიან თავიანთ სიტყვას და შექმნიან ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერის ნაწარმოებებს.

დღეს კი ჩვენს ყრილობაზე მინდა გამოვთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმედი და რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მუშები, განაგრძობენ რა თავიანთ სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, მთელი საბჭოთა მუშათა კლასთან მხარდამხარ კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

აღნიშნეს რა 1967 წლის საიუბილეო წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით, ჩვენი მუშები უეჭველია არა მარტო შეასრულებენ, არამედ გადაჭარბებითაც განაღდებენ 1968 წლის დავალებებს, ვადამდე დაამთავრებენ ხუთწლიან გეგმას ყველა მაჩვენებლების მიხედვით და ამით ღირსეულად აღნიშნავენ კომუნისტუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ნ. ვ. პოდგორნი ფინეთში ჩავიდა

ფინეთის დამოუკიდებლობის 50 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობისათვის ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურho კეკკონენის მიწვევით 3 დეკემბერს მოსკოვიდან ჰელსინკს გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

მასთან ერთად დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. მეერისები, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. სიზოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი, საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ე. კოვალიოვი.

ლენინგრადის ვოზზალში, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ნ. ვ. პოდგორნის გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ი. ვ. კაბანოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. იასნოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ჰელსინკელ, 4 დეკემბერი. (საკდესი სპეც. კორ.). დღეს სასაზღვრო რკინიგზის სადგურ ვაინიკალაში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც მიემგზავრება ჰელსინკში ფინეთის დამოუკიდებლობის 50 წლისთავის დღესასწაულზე. ნ. ვ. პოდგორნი ფინეთში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკკონენის მოწვევით.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ სადგურზე საბჭოთა სტუმარს შეხვდნენ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ო. ფრეი და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ვ. პოდგორნის შესახვედრად ჩამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ე. კოვალიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

ხანმოკლე გაჩერების შემდეგ მატარებელი წავიდა ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, სადაც მოეწყობა სიზეიმო შეხვედრა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების წარმატებით ჩატარებისა და მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

დრეზდენის სიმფონიური ორკესტრი.

მადრიგალისტები ჰალედან ბლომბერგის ხელმძღვანელობით.

საესტრადო ანსამბლი გ. გოლაშის ხელმძღვანელობით.

თვითმოქმედი ანსამბლი რეშუს ხელმძღვანელობით.

„ანსამბლი-66".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. კობულოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 3 დეკემბერი.

მიღება ვ. პ. მჟავანაძესთან

3 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის პორსტ ბრაშის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებში.

ვ. მჟავანაძემ უაღრესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებს დიდი წარმატება ხვდა წილად. თქვენ მოწმენი იყავით, მიმართა დელეგაციის წევრებს ვ. მჟავანაძემ, თუ რა ძმური, გულწრფელი პატივისცემის გრძნობით ხვდებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა თქვენი ქვეყნის წარმომადგენლებს. ყველა საბჭოთა ადამიანი განმსჭვალულია ახეთი გულთბილი გრძნობებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისადმი. ძმური მეგობრობა ჩვენი ხალხების, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტიების დიდი მონაპოვარია.

საქართველო, თქვა შემდეგ ვ. მჟავანაძემ, ხშირად უწევს ახეთ გულითად მასპინძლობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მათ ყოველთვის გულთბილად ხვდებიან ჩვენში. ჩვენი ძვირფასი, სასურველი სტუმარი იყო ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი.

ვ. მჟავანაძე შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მნიშვნელობას და ხაზი გაუსვა, რომ ყველაფერი, რაც მიზნად ისახავს კულტურული ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას, შეესაბამება მსოფლიოს ხალხთა, მათ შორის საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს. განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს კულტურის აყვავებისათვის, ბარბაროსობისა და ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ, ომის საფრთხის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ეროვნული პოლიტიკა, განაცხადა ვ. მჟავანაძემ, გაამხარტავს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვან მისწრაფებას მტკიცე მშვიდობისადმი, ყველა ხალხთან მეგობრობისადმი. ჩვენ ვამაყობთ მტკიცე და ურღვევი მეგობრობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთან, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს პირველ გერმანულ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

ვ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილეებს. მან ყოველივე საუკეთესო უსურვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებიც ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა და რევანშისტთა აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე არიან.

დელეგაციის მეთაურმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ პორსტ ბრაშმა დელეგაციის წევრების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების ყველა მონაწილის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, საქართველოს მშრომელებს იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელიც მათადმი გამოიჩინეს სტუმართმოყვარე საქართველოში.

ჩვენ აქ ჩამოვედით, თქვა პორსტ ბრაშმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის შემდეგ. ჩვენი ხალხების ძმობა და თანამშრომლობა ოქტომბრის დიადი იდეების ცოცხალი განსახიერებაა. ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებში გვნდოდა გვეჩვენებინა საქართველოს მშრომელებისათვის, თუ რა სახელოვანი გზა, ღრმა რევოლუციური გარდაქმნებით აღსავსე გზა განვლო ჩვენმა ხალხმა. დიდი სიხარული მოგვანიჭა საქართველოს, მისი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხის გაცნობამ. ჩვენი თვალით ვნახეთ, თუ როგორ აყვავდა თქვენი რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. შინ რომ ჩავალთ ყველაფერს ვუამბობთ ჩვენს თანამემამულეებს.

ჩვენ გვაერთიანებს, თქვა ჰ. ბრაშმა, საერთო მიზნები და ინტერესები. სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო გზა. გერმანია-საბჭოთა კავშირის ურყევი მეგობრობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის მახლობელ სამყად გადაიქცა. კულტურის დღეებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს ეს მეგობრობა, რომელიც ყველა ჩვენი გამარჯვების ბურჯია მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ახლო მომავალში ჩვენ და ჩვენს თანამემამულეებს მოგველის სასიხარულო შეხვედრა საქართველოსთან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა საქართველოს კულტურის დღეებთან დაკავშირებით. ყველაფერს ვიღონებთ, რომ კარგად მოვემზადოთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისათვის.

ნება მიბოძეთ, თქვა ჰორსტ ბრაშმა, გისურვოთ თქვენ და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, ქართველ ხალხს დიდი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში. გვინდა აღგითქვათ, რომ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს, რათა კიდევ უფრო. განვამტკიცოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

მიღებას, რომელმაც ძმური, ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გოგოშვილი. (საქდესი).

ახალ შეხვედრამდე!

4 დეკემბერს თბილისის აეროდრომზე შეიკრიბნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები მათ გააცილეს რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილენი — ოფიციალური დელეგაცია, მსახიობები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ჟურნალისტები.

— ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! — მიმართა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიგოშვილმა სტუმრებს. — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებმა სქართველოში დიდი წარმატებით ჩაიარა. ამ დღეებმა ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გისურვებთ ყველას დიდ წარმატებებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა პორსტ ბრაშმა.

— ძვირფასო ქართველო ამხანაგებო! განაცხადა მან. — ძალიან გვიძნელდება თქვენთან განშორება. როგორც კი ფეხი დავადგით ქართულ მიწას, მაშინვე მჭიდრო კონტაქტი დამყარდა ჩვენს შორის. თქვენთან ერთად გატარებულმა დღეებმა კი კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი მეგობრობა.

ჩვენ ერთმანეთს შევეჯვებით ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებზე. გელით ისე, როგორც ნამდვილ მეგობრებს ელიან. ეტოვებთ თქვენს რესპუბლიკას, მაგრამ არ გეშვიდობებთან, ჩვენ გეუბნებით ნახვამდის! გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას!

მასპინძლები და სტუმრები მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს. დელეგაციის წევრებს ყვავილები მიართვეს.

სქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილეთა დელეგაცია გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. სარაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ა. კარანაძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. დეალიშვილმა, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარმა წარმომადგენელმა მდივანმა ს. ფურმანიძემ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

(დასასრული)

რი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ყველა ქვეყნის მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

შეასრულო ხუთწლედი გადამდე — ეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა. ამისათვის ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, სწორად მოვაწყოთ შრომა, ავამოქმედოთ ყველა ბერკეტი, ყველა რეზერვი. ამისათვის უწინარეს ყოვლისა წარმატებით უნდა დავამთავროთ მიმდინარე, საიუბილეო, 1967 სამეურნეო წელი, რომლის ბოლომდე არცთუ ბევრი დრო დარჩა. მაგრამ ეს დრო უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად, საქმის სასარგებლოდ, წამოვწიოთ ჩამორჩენილი უბნები. ბევრი საწარმო უკვე ამთავრებს თავის წლიურ გეგმას, მაგრამ არის ისეთი საწარმოები, რომლებმაც უნდა ანაზღაურონ დაკარგული დრო და უზრუნველყონ წლიური პროგრამის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

შემდეგ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თქვა, რომ ამ ყრილობაზე უკვე წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელშიც დიდად არის შეფასებული რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საქმიანობა, აღნიშნულია მათი როლი მშრომელთა დარაზმვის საქმეში დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად; ამავე მისალმებაში განსაზღვრულია აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირთა საქმიანობის მთავარი, ძირითადი მიმართულებანი.

— ამიტომ, თქვა მან, — ნება მიბოძეთ შევჩერდე ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, ჩემი აზრით, სამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

პირველი, რაც ახლა პროფკავშირულ ორგანიზაციათა მთელი საქმიანობის არსი უნდა გახდეს, — ეს არის ის, რომ ყოველნაირად გავშალოთ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორები არიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლექტივები.

— ვადამდე შევასრულებთ ხუთწლედს! — ეს მოწოდება გასმა მთელ ჩვენს ქვეყანაში და მას ყველგან მხურვალედ დაუჭირეს მხარი. ამ ახალ პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში. ეს შეჯიბრება ყოველდღიურად სულ უფრო ჩაღდება. მასში ებმებიან სულ ახალი საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. იგი ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო გახდა.

მოიწონეს რა ეს ინიციატივა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ თავიანთ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდისათვის, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამ შეჯიბრებაში ჩაებნენ საქართველოს მშრომელებიც, რომლებიც კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს და გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, შრომაში ახალი წარმატებებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, კიდევ უფრო დააჩქარონ სოციალისტური ეკონომიკის ზრდის ტემპი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის მოწინავე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პატრიოტულ თაოსნობას და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შეასრულონ ვადამდე, 1970 წლის 7 ნოემბრისათვის.

ამასთან დაკავშირებით დიდი და სერიოზული ამოცანები, პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად, დასახული აქვთ პროფკავშირებსაც, რომლებმაც აგრეთვე ფართოდ უნდა გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა დარაზმონ მშრომელები ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ამასთან ხაზი უნდა გავუსვა, რომ ხუთწლედის დავალებანი უნდა შესრულდეს ვადამდე წარმოების რეზერვების გამოყენების, მეურნეობრიობის ეკონომიური მეთოდების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის გზით.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე დადასტურებულ დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში გაჩნდა ახალი მომენტები, დადგა ახალი ეტაპი, როცა პირველ პლანზე დგება ეკონომიური ანგარიში, ეკონომიური დასაბუთება, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა ისეთ სტადიაში შევიდა, როცა ეკონომიური ზრდის მთავარი წყარო ხდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესება. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ეკონომიური რეფორმა, რომელიც თანამიმდევრულად ვრცელდება სულ უფრო მეტ საწარმოსა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

აი რატომ უნდა მოვახმაროთ ახალ პირობებში სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლებას, შინაგესურსების მაქსიმალურ გამოყენებას.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის დროს უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, როგორც გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების გადამწყვეტ პირობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, თათბირებზე, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტში ეწყობა, მუდამ ხაზგასმით აღინიშნება, რომ უნდა გაიშალოს ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ეს არის ახლა მთავარი, ძირითადი ჩვენი სამრეწველო საწარმოების მუშაობაში. დადგა დრო, როცა რესპუბლიკის სამრეწველო განვითარების დონის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ არა იმდენად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით, რამდენადაც მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა კი თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოებაში შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებთან, მუშათა ცხოვრებისა და ყოფაცხოვრების პირობების, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. ამ საკითხებს ქვემოთ შევეხები.

აქვე, ვუბრუნდები რა სოციალისტური შეჯიბრების ამოცანებს, მსურს აღვნიშნო, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ეს შეჯიბრება პირველ რიგში უნდა წარიმართოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

ცნობილია, რომ სოციალისტური შეჯიბრების წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეწყობა იგი. შეჯიბრების მოწყობის დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ბრძოლა შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ, რაც ზოგან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ფორმალიზმი ხომ საქმეს ღუპავს, ძირს უთხრის სოციალისტური შეჯიბრების ავტორიტეტს, იდეას, არ იძლევა ჯეროვანი შედეგების მოპოვების საშუალებას. ხალხმა უნდა დაიჯეროს, დარწმუნდეს სოციალისტური შეჯიბრების ძალაში და შეიგნოს, რომ ვალდებულებებს იმიტომ კი არ კისრულობს, რომ წარადგინოს ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენი კაცია ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, არამედ იმისათვის, რომ შეასრულოს ეს ვალდებულებანი, ამიტომ, ვიდრე რაიმე ვალდებულებას ვიკისრებდეთ, წინასწარ უნდა საფუძვლიანად ავწონ-დავწონოთ არის თუ არა ამის შესაძლებლობანი, შექმნილია თუ არა მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საჭირო პირობები. და თუ არ არის ასეთი პირობები, სჯობს ხელი არ მოვკიდოთ შეუძლებელს, რადგან სოციალისტურ შეჯიბრებაში მტკიცედ უნდა ვასრულებდეთ წესს: თუ ვალდებულება იკისრე კიდეც შეასრულე, სიტყვა მიეცი — არ გატეხო!

ჩვენმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა შეახამონ შეჯიბრების სხვადასხვა ფორმა, სწორად გამოიყენონ მატერიალური და მორალური სტიმულები, ყველა მშრომელისათვის უზრუნველყონ ნაყოფიერი მუშაობის ხელსაყრელი პირობები.

ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითოეული მუშაკი იბრძოდეს ახალი წარმატებებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომ თითოეული მუშაკი იჩენდეს დაინტერესებას თავისი საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის ბრძოლაში.

ახალ საფეხურზე უნდა დავაყენოთ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, გავხადოთ იგი უფრო მასობრივი, ქმედითი. ჩვენ პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დიადი ლენინური პრინციპები — მისი საჯაროობა, შედეგების შესადარობა, ყოველდღიური კონტროლი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მოწინავე გამოცდილების გავრცელება. მოწინავე გამოცდილება მშრომელთა ფართო მასების კუთვნილება უნდა გახდეს. ხომ ცნობილია, რომ სოციალისტური შეჯიბრების პრინციპი გულისხმობს: დაეწიე საუკეთესოებს და მიაღწიე საერთო აღმავლობას!

ამრიგად, სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, შეჯიბრების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება პირველია, რაზეც მინდოდა მიმეძღვნა ჩვენი პროფკავშირების ყურადღება.

მეორე საკითხი, რასაც მინდა შევეხო, არის საკითხი, რომელსაც მუდამ ვაყენებთ და კვლავაც დავაყენებთ. საქმე ეხება იმას, რომ გამოვიჩინოთ მეტი ყურადღება და ზრუნვა მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვით უნდა იყოს განმსჭვალული პროფკავშირთა მთელი საქმიანობა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი ყოველივე მშვენიერის შემოქმედია დედამიწაზე და თვითონ ადამიანიც ბუნების მშვენიერი ქმნილებაა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე, რასაც მივაღწიეთ, ყოველივე, რაც მოვიპოვეთ ჩვენს ქვეყანაში, ყველაფერი საბჭოთა ადამიანების — ბრძოლაში უშიშარი და შრომაში დაუღალავი ჩვენი დროის ნამდვილი გმირების ხელითაა გაკეთებული, და რომ თავისი ბრძოლით, თავისი შრომით საბჭოთა ხალხმა დაიმსახურა გულისხმიერი, ყურადღებიანი დამოკიდებულება.

და ყველა, ვინც ადამიანებთან მუშაობს, ვისაც მათი აღზრდა აქვს დაკისრებული, ადამიანებისადმი თავიანთი დამოკიდებულებით, მათთვის ზრუნვით, პირადი მაგალითით, უნდა დაანახვონ, გააგებინონ და აგრძნობინონ ყოველ მშრომელს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს მისი მშობლიური ხელისუფლებაა, რომ იგი მთავარ ამოცანად ისახავს ზრუნვას მშრომელებისათვის, და რომ ეს ზრუნვა წლითიწლობით სულ უფრო მეტად გაიზრდება.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანებისათვის ზრუნვის გაძლიერება, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება საბოლოო ანგარიშით შეიძლება მხოლოდ შრომის იმავე კარგი ორგანიზაციის საფუძველზე, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე, რადგან ჩვენი ეკონომიკის განმტკიცება არის ის მძლავრი ბერკეტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე.

დიდია პროფკავშირული ორგანიზაციების როლი შრომითი კანონმდებლობის დაცვისადმი, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი კონტროლში, იმისადმი კონტროლში, თუ როგორ არის მოწყობილი სამედიცინო მომსახურება, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება. გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ადამიანთა საჭიროებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტებს, აღმოვფხვრათ საზოგადოებრივი ინტერესების ყოველგვარი დარღვევა.

ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია გამოიჩინონ გულისხმიერება და ყურადღება, განუწყვეტლივ იზრუნონ ხალხისათვის, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს გულისხმიერება, ეს ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ თანაბრად ყველასადმი, მაგრამ განსაკუთრებით კი პარტიის ძველი წევრებისადმი, ბოლშევიკ-ლენინელებისადმი, რევოლუციის ვეტერანებისადმი, შრომითი ხუთწლედების გმირებისადმი, დიდი სამამულო ომის გმირებისადმი — იმათდამი, ვინც იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ვინც თავდადებულად შრომობდა მისი აყვავებისათვის, ძალ-ღონის დაუშურებლად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება. აქ მოიყვანეს ციფრები, რომლებიც ამას დამაჯერებლად მოწმობენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სარჯები, რომლის ბიუჯეტმა 1966-1967 წლებისათვის 175 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ამ დროის განმავლობაში რესპუბლიკურ და სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერებში უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით გაატარა შვებულება 200-ათასამდე ჩვენმა მუშამ და მოსამსახურემ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანატორიუმ-საკურორტო მომსახურება რესპუბლიკის პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერებში, რომლებშიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 675 ათასმა კაცმა დაისვენა.

მუშაობა ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გაძლიერდეს და იგი გაძლიერდება.

როცა ვლაპარაკობთ, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ზრუნვა ადამიანებისათვის, ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ეს ზრუნვა უნდა ვლინდებოდეს დიდსა თუ მცირეში. ჩვენმა პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მშრომელთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას — იცოდნენ რა მდგომარეობაშია მუშათა საერთო საცხოვრებლები, მუშათა სასადილოები, როგორია იქ კვება, არის თუ არა სათანადო წესრიგი, სისუფთავე, ლაზათი.

საჭიროა ჩავწვდეთ ცხოვრების ყველა მხარეს, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მშრომელთა ყოფაცხოვრების ორგანიზაციის საკითხებში არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები.

ამ რამდენიმე დღის წინათ ვიყავით მთელ რიგ მუშათა სასადილოებში. რუსთავში ვნახეთ, როგორ ემსახურებიან მუშებს მარტენის საამქროს, მილსადიდავი საამქროს, ქიმიური კომბინატის სასადილოებში. ხოლო თბილისში — კამვოლ-მაუდის კომბინატის, „მაგნიტოფონის“ ქარხნისა და სხვა საწარმოთა სასადილოებში.

უნდა ითქვას, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა მდგომარეობა მუშათა სასადილოებში იმასთან შედარებით, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო. მაშინ სასადილოებში შესვლა უსიამოვნოც კი იყო. ახლა აქ სისუფთავე, ბევრი სინათლე, სიმყუდროვეა და კვებაც კარგია.

ასეა ორგანიზებული მუშა-მოსამსახურეთა კვება ქარხნებსა და ფაბრიკებში. უფრო ცუდადაა დაყენებული ეს საქმე ჩვენს მშენებლობებზე. სავსებით სწორი იყო ყრილობაზე გამოსული ხუროთა ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჭელიძე, რომელმაც თქვა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია მუშათა კვების ორგანიზაციაში სამშენებლო მოედნებზე, სამშენებლო უბნებსა და ობიექტებზე. მისი სიტყვები ყურად უნდა ვიღოთ და გადაჭრით გავაუმჯობესოთ ეს საქმე.

ვამაყობთ ჩვენი მუშათა კლასით, ჩვენი მშენებლებით. ამიტომ მით უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ მათთვის.

ყველანი აღტაცებული ვართ თბილისის კარგი, ლამაზი მეტროთი, რომელიც საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ნამდვილი სიამაყეა.

ვისი ხელით გაკეთდა ეს? ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი მშენებლების ხელით.

ავიღოთ ანდა ჩვენი სასტუმრო „ივერია“ — მოსახერხებელი, კეთილმოწყობილი, კარგი და გემოვნებით გაწყობილი შენობა.

ვინ გააკეთა ეს? ეს გააკეთა ჩვენმა მუშათა კლასმა, გააკეთეს ჩვენმა მშენებლებმა.

ყველას გვახარებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი ნათელი შენობა, მისი მოსახერხებელი, ვრცელი აუდიტორიები და ლაბორატორიები.

ვინ ააშენა ეს ინსტიტუტი? ჩვენმა მუშებმა, ჩვენმა მშენებლებმა.

ავიღოთ ჩვენი სამრეწველო ობიექტები, ისეთები, როგორიცაა რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხანა, ტყვარჩელის № 8 შახტი, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკი.

ვინ ააშენა ეს ნაგებობანი, ვისმა მარჯვენამ შექმნა ყოველივე ეს?

ყოველივე ეს გააკეთა ჩვენმა გმირმა მუშათა კლასმა, ეს გააკეთეს ჩვენმა შესანიშნავმა მშენებლებმა.

აი რატომ უნდა ვიჩენდეთ ყოველდღიურ განსაკუთრებულ ზრუნვას ჩვენი მუშებისათვის, ჩვენი მშენებლებისათვის. ეს ზრუნვა უნდა ვრცელდებოდეს როგორც საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე, ისე სამუშაო ადგილის მოწყობაზე.

რა სჭირდება მშენებლობაზე დასაქმებულ მუშას? მას სჭირდება უწინარეს ყოვლისა საშენი მასალები. მიეცით მას საკმაო რაოდენობის საშენი მასალა, მოამარაგეთ კარგი ხარისხის აგურით ისე, რომ შეძლოს ჩინებული კედელი ამოიყვანოს — და იგი ძალღონის დაუზოგავად იმუშავებს. ხოლო თუ აგური არაფრად არ ვარგა, იფშვნება და ნაწილებად იშლება, მაშინ კედელიც ცუდი გამოვა. საშენი მასალების ხარისხზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული მუშაობის ტემპი, გეგმის შესრულება და სამშენებლო ობიექტების დროულად დამთავრება. მე გადავწყვიტე ამ საყვედურით მივმართო ორგანიზაციებს, რომლებიც საშენ მასალებს უშვებენ, რათა გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ისევე, როგორც ეს უნდა ქნან ამხანაგებმა, რომლებიც პასუხს აგებენ მშენებელ მუშათა კვების ორგანიზაციისათვის.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ყველა ამ საკითხს, რადგანაც ადამიანის ცხოვრებაში, მის ყოველდღიურ მუშაობაში ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ვითარებაში უხდება შრომა. კარგად მოგეხსენებათ, რომ გარემო უაღრესად დიდ გავლენას ახდენს მუშაობის უნარიანობაზე, კაცის განწყობილებაზე, შრომის ნაყოფიერებაზე. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ გარემომცველი ვითარების კულტურაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების კულტურა. და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ინერგებოდეს კულტურა ყველგან და ყველაფერში, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ადამიანებს შეუქმნან რაც შეიძლება ხელშემწყობი პირობები მუშაობისთვის.

საჭიროა თვით ვითარება — იქნება ეს სამუშაო ადგილი, სასადილო თუ კლუბი — ისეთ გავლენას ახდენდეს ადამიანზე, რომ უკეთ იმუშაოს, იყოს დისციპლინირებული, სამუშაოზე თუ საზოგადოებრივ ადგილებში არ დადიოდეს ულაზათოდ ჩაცმული, წვერგაუპარსავი. იმიტომ, რომ, თუ დღეს კაცმა არაფრად ჩააგდო პირის გაპარსვა, ხვალ შეიძლება არაფრად ჩააგდოს დავალების შესრულება, ზეგ კი სულაც არ მოვიდეს სამუშაოზე. ეს ასეა!

ასე რომ, თუ მიზნად დავისახეთ ამოცანა, მივაღწიოთ წარმოების მაღალ კულტურას, შრომის მაღალ კულტურას, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაჩაღოთ ბრძოლა ყოფაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაღალი კულტურის დანერგვისათვის, ქცევისა და ადამიანთა ურთიერთობის მაღალი კულტურისათვის. ეს კი თავის მხრივ ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ყურადღებით, როგორი მზრუნველობით მოვეკიდებით ყველანი ჩვენ, და უწინარეს ყოვლისა ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციები მშრომელთა საჭიროებებს, [illegible]

ამრიგად, ყოველდღიური ზრუნვა ადამიანებისათვის, გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება — ესაა მეორე საკითხი, რაზეც მინდოდა მიმეძღვნა ჩვენი პროფკავშირების ყურადღება.

მესამე საკითხი, რომელსაც უნდა შევეხოთ, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხია.

როცა ლაპარაკობდა პროფკავშირების როლზე სოციალისტურ რევოლუციაში, კომუნისტურ მშენებლობაში, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა პროფკავშირების როგორც აღზრდის სკოლის, მართვისა და მეურნეობრიობის სკოლის, კომუნიზმის სკოლის მნიშვნელობას.

დიდი პატივი, დიდი მისიაა იყო კომუნიზმის სკოლა! და უნდა ითქვას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი 50 წლის მანძილზე პროფკავშირებმა გამოიჩინეს თავი როგორც კომუნიზმის ნამდვილმა სკოლამ.

ამ სკოლაში მშრომელები ითვისებდნენ და კვლავაც უნდა ითვისონ კომუნისტური ჩვევები, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევები, ისწავლონ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მაღალი პრინციპების მტკიცედ დაცვა.

ამიტომ პროფკავშირული ორგანიზაციები ყველაზე გადამწყვეტ ბრძოლას უნდა ეწეოდნენ წარმოების დეზორგანიზატორთა, კერძომესაკუთრული გადმონაშთების მატარებელთა, ცრურწმენათა წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წარმატებით წინსვლას კომუნიზმისაკენ.

კომუნიზმის სკოლა—პროფკავშირები მთელი ამ წლების მანძილზე უნერგავდნენ და კვლავაც უნდა ჩაუნერგონ ყველა მშრომელს ისეთი კომუნისტური თვისებები, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, შეგნებული დისციპლინა და ორგანიზებულობა, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი წარმოებისა თუ ყოფაცხოვრების ყოველ უბანზე, ღრმა იდეური სიმტკიცე.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანებისათვის, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელი უნდა იყოს მაღალი იდეურობა და პოლიტიკური სიმწიფე, რადგან ახალი საზოგადოების აშენება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც ღრმად სწამს კომუნიზმის იდეები, ეს ძალუძთ მხოლოდ იმათ, ვინც მზად არის მთელი თავისი ენერგია, მთელი თავის ცოდნა და ნიჭი მოახმაროს დასახული მიზნის მიღწევას.

რამდენადაც სიტყვა ჩამოვარდა პროფკავშირთა როლზე საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში, უნდა ითქვას, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ წარსულის ისეთი გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც არის მლიქვნელობა, კარიერიზმი, კინკლაობა, ინტრიგები, შური, რაც ჯერ კიდევ გვხვდება ზოგან.

ჩვენ ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ ჯანსაღი, ამხანაგური დამოკიდებულება. უნდა ჩავუნერგოთ ადამიანს მაღალი, კეთილშობილური გრძნობები, გადაჭრით აღვკვეთოთ ადამიანებისადმი უსეში, უტაქტო, უპატივცემულო დამოკიდებულების უმცირესი ფაქტები. ასეთი ფაქტები კი ჩვენში ჯერ კიდევ არის, თუმცა სულ უფრო იშვიათად.

საერთოდ კი ჩვენში შექმნილია კარგი, საქმიანი, შემოქმედებითი ვითარება. ხალხის დამოკიდებულება ჯანსაღია, მას საფუძვლად უდევს მტკიცე მეგობრობა, ერთმანეთის დახმარება.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა პროფკავშირის ყველა წევრს, ყველა მშრომელს უნდა ჩაუნერგონ თავმდაბლობა, გულისხმიერება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიზმის გრძნობა, ესე იგი ყოველივე ის, რაც ამკობს ადამიანს, რასაც, ჩვენი პარტია ყველაზე მეტად აფასებს ადამიანებში.

უნდა ითქვას, რომ დემოკრატიზმი, ერთნაირი პატივისცემა ადამიანის ღირსებისა, ჩვენი საბჭოთა წყობილების ყველაზე განმასხვავებელი ნიშანია, სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მორალური მონაპოვარია.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში საბჭოთა ადამიანები ერთნაირად პატივისცემით ეკიდებიან და მიმართავენ თითოეულ მშრომელს — იქნება იგი მუშა, მინისტრი, პროფესორი, მარშალი, ჯარისკაცი თუ ტაქსის შოფერი — ყველას ერთნაირად ვუწოდებთ „ამხანაგს“.

ეს დიადი სიტყვაა — ამხანაგი! იგი მოწმობს ხალხთა თანაშრომლობასა და ძმობას, მოწმობს ჩვენს დიდ პატივისცემას ადამიანისადმი.

და ყველაფერი ეს იმიტომ არის, რომ ჩვენში ადამიანებს აფასებენ არა წარმოშობის, არა სოციალური მდგომარეობის, არა შემოსავლის, არა ეროვნების მიხედვით, არამედ შრომის, იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, აფასებენ საბჭოთა ადამიანის ღირსების მიხედვით.

ჩვენი წყობილების დემოკრატიზმი, ვლინდება აგრეთვე ჩვენს ნაკლოვანებათა ფართოდ გაშლილი კრიტიკით, იმით, რომ ამა თუ იმ ხარვეზებისათვის ჩვენს ადამიანებს შეუძლიათ გააკრიტიკონ ხელმძღვანელებიც, რითაც ცდილობენ დაეხმარონ მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, რადგან ნაკლოვანებათა აღმოუხვრელად, ჩვენი შეცდომებისა და ხარვეზების გაუკრიტიკებლად წინ ვერ წავალთ.

დღეს ასე დაწვრილებით იმიტომ შევეხე დემოკრატიზმის საკითხებს, რომ ჩვენი პროფკავშირები ყველაზე მასობრივი, ყველაზე დემოკრატიული ორგანიზაციაა. და ამოცანა ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცოთ პროფკავშირული დემოკრატია, ავამაღლოთ მუშათა კრებებისა და საწარმოო თათბირების როლი, რომლებიც კოლექტივების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის აღმავლობის, მეურნეობის მართვაში მათი ჩაბმის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტებია.

ამრიგად, ადამიანთა კომუნისტური აღზრდა, დაუცხრომელი ზრუნვა მათი სულიერი ზრდისათვის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

აი, ამხანაგებო, ის საკითხები, რომლებსაც მინდოდა შევეხებოდი, რომლებისთვისაც მინდოდა მიმეპყრო თქვენი ყურადღება.

დასასრულ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს პროფკავშირთა XIV ყრილობის დელეგატებსა და ყველა მონაწილეს უსურვა ახალი შრომითი წარმატებანი, სიხარული და ბედნიერება პირად ცხოვრებაში, ჯანმრთელობა, აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის პროფკავშირები, რომლებიც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საიმედო დასაყრდენია, კვლავაც სრულყოფენ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას და წარმატებით შეასრულებენ ყველა დიდ ამოცანას, რომლებიც დასახულია მათს წინაშე კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

საუკუნო მეგობრობა

დამთავრდა საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები

საქართველოს სტუმართმოყვარე მიწა-წყალზე ათ დღეს გაისმოდა გერმანული სიტყვა, ათი დღის განმავლობაში რესპუბლიკის საუკეთესო საკონცერტო დარბაზები გერმანიის შესანიშნავი კულტურის წარმომადგენელთა განკარგულებაში იყო. გერმანელ მეგობართა მუსიკა და სიმღერები მოისმინეს თბილისსა და ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში, რუსთავსა და გაგრაში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. უდიდესი წარმატება ხვდა წილად დრეზდენის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს „შტაატსკაპელას“, „ახსამბლ-66“, საცეკვაო მუსიკის ორკესტრს გიუნტერ გოლაშის ხელმძღვანელობით, ჯალელ მადრიგალისტებს, დრეზდენის თვითმოქმედ სტუდენტთა კოლექტივს. ეს კოლექტივები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების წარმატებით მოწყობისთვის დაჯილდოვდნენ სპატიო სიგელებით.

მსმენელთა გული დაიპყრეს სოლისტებმა ზიგრიდ კიოლმა, ვერა იოლშლეგელმა, ფრანსისტმა იოჰან ერნსტ კიოლერმა. არ წყდებოდა დამფაფალერებელთა ნაკადი გამოფენებზე, რომლებიც საქართველოს მშრომელებისათვის გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა მეგობრებმა.

საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების დასკვნით აკორდი იყო საღამო, რომელიც 3 დეკემბერს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ საცეკვაო მუსიკის ორკესტრს გიუნტერ გოლაშის ხელმძღვანელობით, როცა იგი სცენაზე გამოვიდა. დიდი წარმატება ხვდათ სოლისტებს კრისტელ შულცს, კრის დერმსა და ფრანკ შებელს. მსმენელებისათვის სიურპრიზი იყო ის, რომ ამ შესანიშნავმა კოლექტივმა შეასრულა რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“.

...ორკესტრი ასრულებს „სულიკოს“. სცენა

რესპუბლიკის პროფკავშირთა მუშაობა — კომუნისტური მშენებლობის ამოცანების დონეზე

საქართველოს პროფკავშირთა XIV ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **ზ. კიკნაძემ** თავის მოხსენებაში გააანალიზა რესპუბლიკის პროფკავშირების მუშაობა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ეს პერიოდი მდიდარი იყო უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებით საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. იგი ღირებულ დიდი სოციალური-ეკონომიური ღონისძიებებით, რომლებშიც აისახა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

უკანასკნელი წლების ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა, თქვა მომხსენებელმა, იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა, რომელმაც დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლისა კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებებში კიდევ უფრო განვითარებულია ენინშვილელოვანესი დებულებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის (1964 წ.), მარტისა და სექტემბრის (1965 წ.) პლენუმებმა შეიმუშავეს და რომლებმაც უდიდესი დადებითი გავლენა მოახდინა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე, ფართოდ გაუხსნა გზა სოციალისტური წარმოების ეკონომიური კანონების რაც შეიძლება სრულად გამოყენებას.

ასრულებდა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხსა ხელოვნედ ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ერთად თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მშრომელებსაც.

საანგარიშო პერიოდი, აბობს შემდეგ მომხსენებელი, აღინიშნა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის შარშან საქართველოს სს რესპუბლიკა დაჯილდოდა მეორე ლენინის ორდენით. ორდენები და მედლები გადაეცათ რესპუბლიკის 11 ათასზე მეტ მოწინავეს. მთავრობის მაღალი ჯილდოები მიიღეს აჭარის ას რესპუბლიკამ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, მთელმა რიგმა ტრესტებმა, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ესოდენ მაღალ შეფასებას, უდიდეს დახმარებასა და მამობრივ ზრუნვას, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ, საბჭოთა საქართველოს მშრომელნი უპასუხებენ ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საანგარიშო პერიოდი. პროფსაბჭოს, პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების ყურადღებას ცენტრში იყო პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა წარმოების განვითარებასა და სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ამაღლებაში, შრომისა და ხელფასების სამართლიანი განაწილებისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვის და იმაში, რომ პარტიამ ბოლშევიკურად დააყენა საკითხი, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის ორგანიზაციისა, მოწინავე მეთოდებისა და ინოვაციების ფართოდ გავრცელებისა, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისა, ეკონომიური ეფექტიანობისა, ეკონომიური ანალიზისა, ფინანსური ანგარიშგებისა, ეკონომიური ანალიზის

რესპუბლიკის პროფკავშირთა მუშაობა — კომუნისტური მშენებლობის ამოცანების დონეზე

(დასასრული)

და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში. უდიდესი, ჯერ არნახული აღმავლობის ვითარებაში ეგებებოდა საბჭოთა ხალხი თავის დიად საიუბილეო დღესასწაულს და მაღლია კიდეც შესანიშნავ საწარმოო წარმატებებს. სახალხო მეურნეობის დიდ მიღწევებში არის საბჭოთა რკინიგზელების, და, კერძოდ, ამერკავკასიის მაგისტრალის მშრომელთა წვლილიც. ჩვენი გზის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლები მოიპოვა: გეგმის გადაჭარბებით გადაბიდულია 400 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყველა დავალება ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით.

უკანასკნელ წლებში ამერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი არაერთგზის გამოსულა ვაგონების ბრუნვის ნორმების შემცირებისათვის — შეჯიბრების ინიციატორად. ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირეს მხარი რკინიგზის სხვა კოლექტივებმა. დიდი საზოგადოებრივი და საეფექტო მნიშვნელობა აქონდა გზის მუშაკთა პატრიოტულ წამოწყებას ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. თავის მხრივ ამერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა მიმდინარე წელს მხარი დაუჭირა ვოლგისპირეთის რკინიგზის კოლექტივის ინიციატივას და ვალდებულება იკისრა ყოველ დღე-ღამეში ნორმის გადაჭარბებით დამატებითი დატვირთვისათვის გაათავისუფლოს სულ ცოტა 600 ვაგონი.

მაგრამ არა მარტო ტვირთზიდვის საქმეში მოიპოვა წარმატებები ჩვენი გზის კოლექტივმა, ამბობს ორატორი. სასახელო წარმატებია მოპოვებული ჩვენი მრავალმხრივი საქმიანობის სხვა უბნებზეც. ფოლადის გზების მშრომელებმა გადაჭარბები შეასრულეს საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებანი. მშენებელთა, მემონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა დაუღალავი და პატრიოტული შრომა საოფიციალ მოსკოვის, რომ ვადამდე — 7 ნოემბრისათვის დამთავრდა ბორჯომი-ვალესა და ანი-ახალციხის უბნების ელექტროფიკაცია. ელექტროწევაზე ახალციხის უბნის გადაყვანით დამთავრდა საქართველოს ყველა სარკინიგზო ხაზის სრული ელექტროფიკაცია.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანის კომკავშირთა ორგანიზაციის მდივანი **ი. თავაძე** აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა საიუბილეო წლის წარმატებებში ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა წვლილიც არის. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა რაიონში შეასრულა სახელმწიფო გეგმები.

ყველა ამ წარმატებაში გარკვეული ღვაწლი მოქმედი პროფკავშირის ორგანიზაციებს, რომლებიც, უნარიანად წარმართავენ მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

სახალხო კანონმდებლობის დაცვა, აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **პ. გელბახიანი**, დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა. ამ დარგში მიღწეული ისტორიული წარმატებები კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების კანონზომიერი შედეგია. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მედიცინის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს მისი პროფილაქტიკური ბუნება. ჩვენში მედიცინის პროფილაქტიკური მიმართულება წარმოადგენს კანონმდებლობის ღიტელ პარტიულ ხაზს, მის არსს. წლითიწლობამდე ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. მარტო 1960-1966 წლებში საქართველოში აშენდა 24 ახალი საავადმყოფო, 27 პოლიკლინიკა და 4 ფფთიაქი. დღისათვის რესპუბლიკაში არის 3.459 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 1.341 ამბულატორია და პოლიკლინიკა.

სახელმწიფო კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების და მედიცინის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად დიდი ხანია ლიკვიდირებულია მწვავე გადამდები ინფექციური სნეულებანი. უკანასკნელ წლებში მთლიანად ლიკვიდირებულია მალარია და პოლიომიელიტი. დიფტერიითი დაავადება შემცირებულია რამდენჯერმე, ბრუცელოზით — 6-ჯერ და სხვა. ორატორი აღნიშნავს აგრეთვე იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის მედიცინის დარგის მუშაკთა საქმიანობაში, ლაპარაკობს მათი დაძლევის ღონისძიებებზე.

აჭარის სამრეწველო საწარმოებში, აღნიშნავს აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **მ. ეკიზაშვილი**, ამჟამად ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალების ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩვენმა გამოგონებლებმა და რაციონალიზატორებმა იკისრეს ხუთწლედის მანძილზე დაზოგონ 5 მილიონი მანეთი.

ორატორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების მნიშვნელობას წარმოების განვითარების საქმეში. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ასეთი თათბირების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 56 ათასზე მეტმა კაცმა, შემოვიდა 1.600-მდე წინადადება, რომელთაგან 1.300-ზე მეტი უკვე განხორციელებულია. მუშაობის კარგი გამოცდილება დაგროვა მანქანათმშენებელი ქართნის მუდმივმოქმედმა საწარმოო თათბირმა, რომლის მუშაობა განზოგადდა პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეების სემინარზე. მიუხედავად ამ წარმატებებისა, მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანება. ისინი ჯერ კიდევ არ გადაქცეულან საწარმოო საკითხების გადაჭრის კოლექტიურ ორგანოებად.

ამხ. ეკიზაშვილი მხარს უჭერს გ. ჯობავიძისეულ სსრ კავშირის პროფიუსიელ კავშირების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კოლექტივმა, რომელმაც მე აქ გამომგზავნა, ამბობს „მთავართბილისმშენის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, **ვ. ჭელიძე**, მიმდინარე წელს სახელოვნად იზრომა და მიიხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობისა დიდი წარმატებებით შეეგება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. „მთავართბილისმშენმა“ წარმატებით გაანაღდა საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, გადაჭარბებით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 10 თვის გეგმა და საექსპლოატაციოდ გადასცა საცხოვრებელი სახლები, სბავშვო ბაღები, სკოლები, სასტუმრო „ოვერიის“ შენობა და სხვა.

ორატორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მშენებლობაში ხელის შემშლელ პირობებს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ობიექტი მარაგდება მაღალხარისხოვანი ნაკეთობებითა და სამშენებლო მასალებით, ხოლო ზოგიერთი კი უხარისხო, არასტანდარტული კონსტრუქციებით, ოსუფთაო საღებავებით.

დღემდე მოუგვარებელია უმთავრესი — ზოგჯერ ანაზღაურების საკითხი, რაც მთავარი მიზეზია მუშათა დიდი ღინდღობისა. საჭიროა უმოკლეს ვადაში გადაისინჯოს საერთად მშენებლობისა და კერძოდ, მუშათქმაურების, ლოსვგრების, დურგლების, კალატოზების, შრომის ანაზღაურების ნორმები. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობა საყოფაცხოვრებო და სანტარული პირობების გაუმჯობესებას. ხშირია შემთხვევა, რომ თვით სამშენებლო მოედნებზე არ არის გასახდელები, სასადილოები, წითელი კუთხეები და სხვა.

სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო სამეს თავმჯდომარე **რ. ცხოვრებიანი** ლაპარაკობს ოლქის მშრომელთა წარმატებებზე საიუბილეო წელს და აღნიშნავს, რომ მათი შრომის უმაღლესი შეფასება იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდობა. ოლქის მშრომელთა მთავრობის ამ მაღალ ჯილდოს მიიჩნევენ არა მარტო მათი თავდადებული შრომის აღიარებად და მაღალ შეფასებად, არამედ სამეროთა ხალხების ურღვევი ლენინური მეგობრობის სიმბოლოდაც. მათ კარგად ესმით, რომ სამეროთა ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარება რომ არ ყოფილიყო, სამხრეთ ოსეთი ეკონომიური და კულტურული განვითარების იმ მაღალ დონეზე, რომელსაც მან მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ყველა დიდ წარმატებებში საგეურნეო და კულტურული ცხოვრების ფრონტებზე მშენებელთა ოლქის პროფკავშირული კავშირების როლიც, რომელთაც მუდმივად ზრუნავენ იმისათვის, რომ სულ უფრო მეტად გაიზარდოს სოციალისტური შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიგები. დაეხმარონ შრომელებს მათ წინაშე დასახული სამეურნეო მშენებლობისა და ადამიანურობითი მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში.

ამჟამად ოლქის პროფკავშირული ორგანიზაციების მეული ყურადღება ეთმობა მიპყრობილი, რომ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე საიუბილეო წლის და ადეკვატურად შეხვედრილ ეკონომიური მაჩვენებლებით. იუბილესთვის მზადების პერიოდში ქარხნის კოლექტივმა სამჯერ გადასინჯა თავისი ვალდებულებანი თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების წარმოების შემდგომი — გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესისა და ახალი სახეობის პროდუქციის თავისების დაჩქარებისათვის, წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების კულტურის 50 წლისთავზე პატრეა, ჩვენი ხალხი სიამაყით აღნიშნავენ ახალგაზრდობის წარმატებებს, ეს პროფკავშირისა და კომკავშირის ერთობლივი მუშაობის შედეგია.“ ახალგაზრდობის თავდადებული შრომის დასაფასებლად შეეძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი. ჩვენ ვამაყობთ ენგურჰესითა და თბილისის მეტროპოლიტენით, რუსთავის ქიმიური კომბინატითა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტებით, რომელთა შექმნაშიც საქართველოს კომკავშირს დიდი წვლილი მიუძღვის.

„კომკავშირისა და პროფკავშირის საერთო საქმიანობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კომეონსტიტური შრომისათვის მოძრაობა. ეს მოძრაობა კეთილსაყოფილ ვალდებულებას ახდენს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების ყველა სფეროზე — შრომაზე, სწავლაზე, ყოფა-ცხოვრებაზე. ეს მოძრაობა საუკეთესო პერსპექტივებს ლამობს ყველა მოსაწყლის წინაშე. მაგრამ, აღნიშნავს ორატორი, წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, ხელს რომ არ გვიშლიდეს ამ მოძრაობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებები. შეიწყნარებულია, რომ ჯერ კიდევ ხვდებით ფორმალიზმს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, არ არის სათანადო სიმაღლეზე წარმოების კულტურა, ზშირად ირღვევა უშიშროების ტექნიკის წესები და სანიტარული პირველი ჩვენს საწარმოებში.

ამს. მეტრველი წინადადებას აყენებს სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, და, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეტი მზრუნველობა გამოიჩინონ საწარმოში ახლად მოსული მოზარდების მიმართ, რომელთაც განსაკუთრებული ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები ახასიათებთ.

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ლეკოძე** ამბობს: რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მშრომელებმა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთაგან ერთად დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის 50 წლის იუბილე. ამ დიდ ისტორიულ ფონზე ეროვნული ეკონომიკა ეფუძნებოდა ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისა, ეფუძნებოდა ინიციატივა, ეფუძნებოდა ენერგიული